სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის

გადაწყვეტილება №010/18

ქ.თბილისი, 13 ივლისი, 2018 წელი

სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის

განხილვის კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე

2018 წლის 13 ივლისს მეხუთე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ ია გაბედავამ მომმართა, რომ პროფესიული საქმიანობის გამო ივლის-აგვისტოში არ იმყოფებოდა თბილისში, რაც ხელს შეუშლიდა 074/18 საქმის საპროცესო ვადის დაცვით განხილვას და ითხოვა მოცემული საქმის განხილვის მიზნით მის ნაცვლად ალტერნატიული წევრის დანიშვნა.

ვიხელმძღვანელე ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით და განხილვის კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეთიკის კომისიის წევრი ქეთევან უტიაშვილი დაინიშნოს მეხუთე დისციპლინურ კოლეგიაში ალტერნატიულ წევრად და შეასრულოს კოლეგიის თავმჯდომარის ფუნქცია დისციპლინური საქმის №074/18 განხილვისათვის საჭირო ვადით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე.
3. ეთიკის კომისიის აპარატს დაევალოს, გადაწყვეტილების თაობაზე ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრების ინფორმირება.

გია ტაბლიაშვილი

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე